თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური

მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი: 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.**

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა ახლშობილთა ოჯახები (მშობლები), რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მოთხოვნებს და განცხადების წარმოდგენის დროისათვის კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში, კერძოდ:

ა) ბავშვის მშობლები, რომლებიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში;

ბ) მარტოხელამშობელი (დედა ან მამა), რომელიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

მუხლი 4. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია, დახმარების ოდენობა

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს ფინანსური დახმარება მიეცემათ თითოეულ ახალშობილზე ერთჯერადად, შემდეგი ოდენობით:

ა)პირველ ახალშობილზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი;

ბ) მეორე ახალშობილზე 300 (სამასი) ლარი;

გ) მესამე, მეოთხე 400 (ოთხასი) ლარი;

დ) მეხუთე და ა.შ ახალშობილზე 500 (ხუთასი) ლარი;

ე) ტყუპების შემთხვევაში 1000 (ათასი) ლარი.

2. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარება გაიცემა განცხადების საფუძველზე, რომელსაც ერთ – ერთი მშობელი წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას, ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს, ერთი წლის ვადაში.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

მუხლი 5. ახალშობილთა ოჯახებზე ფინასური დახმარების გაცემის წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ,თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი